



# აგრობიზნესის განვითარების გზების სრულყოფის გზები საქართველოში

რეზიუმე

დავით გობიაშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

ელ. ფოსტა: [poligrafalfa@mail.ru](mailto:poligrafalfa@mail.ru)

აგრალური ბაზარზე ფასების და შემოსავლების მართვის მიზნით სახელმწიფომ გამოიყენა სხვადასხვა მექანიზმი. მათ შორისაა: შეღავათიანი კრედიტი და ლიზინგი, ტარიფები და იმპორტის გადასახადი, საექსპორტო სუბსიდი და წარმოების შეზღუდვები. ტარიფები და იმპორტის კვოტები შიძლება ეფექტური იყოს იმ შემთხვევაში, თუ იმპორტირებული საქონელი ბევრად ნაკლებია ადგილობრივ წარმოებასთან შედარებით და არსებით გავლენას არ ახდენს ქვეყნის ეკონომიკაში. პირდაპირი გადასახადები უნდა გამოყენებულ იყოს უცხოური კონკურენციის შესამსუბუქებლად და ადგილობრივი ფერმერების წასახალისებლად რათა ქართული პროდუქცია დაუბრუნდეს მსოფიო ბაზარს თავისი ხარისხობრივი და ფინანსური მაჩვენებლებით კონკურენტუნარიანი.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის გატარების ხარჯები სოფლისმეურნეობის განვითარების ხელშეწყობის კუთხით არსებითია. მოიცავს როგორც პირდაპირ სამთავრობო ხარჯებს, ისე სუბსიდიების ხარჯს უშუალოდ კონკრეტული პროდუქციის მიმართულებით, ასევე ინფრასტრუქტურის სრულყოფის და ტექნიკური აღჭურვილობის მიმართულებით. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეიძლება უფრო მეტად პროდუქტიული იყოს მისი სარწავი სისტემით, სასუქებით, ინსექტიციდებით, პერბიციდებით და მეცნიერული სიახლეებით კონსულტაციის უზრუნველყოფის პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** აგრობიზნესის დაფინანსების გეგმა, ექსპორტის სუბსიდია, იმპორტის ქვოტა, ტარიფი, შეღავათიანი აგროკრედიტი, შეღავათიანი აგროლიზინგი.

აგრობიზნესის ერთ-ერთი უმთავრესი და განმსაზღვრელი საკითხი არის მიწის ანუ ქვეყნის ძირითადი რესურსის საკითხი. მიწა ერის არსებობის და შემოქმედებისათვის აუცილებელი და გადამწყვეტი სივრცეა. ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონე სარესურსო პოტენციალის რაოდენობრივ-ხარისხობრივ მაჩვენებლებზეა დამოკიდებული. სარესურსო პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აგრარული წარმოება, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან იდენტიფიცირდება, რადგან აქ მიწის რესურსია ძირითადი და წარმოების მთავარი ფაქტორი.

განვიხილოთ აგრობიზნესის განვითარების რა მიმართულებებს ენიჭება პრიორიტეტი არსებული მიდგომებით.

## შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის

1. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისთვის საბრუნავი საშუალებებისთვის გამოყოფილ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთების გარკვეული ნაწილის დაფინანსებას სააგენტოს მიერ;

2. სააგენტო უზრუნველყოფს სესხის მომსახურებისთვის გადასახდელი საპროცენტო თანხის თანადაფინანსებას ბენეფიციართან შეთანხმების საფუძველზე;

3. პროექტის ფარგლებში, აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად გაიცემა ბენეფიციარებისთვის შემდეგი ქვეკომპონენტების ფარგლებში:

3.1. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები;

3.2. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შეძენას მოახდენენ სპირტის წარმოების მიზნით;

3.3. ატმის შემსყიდველი საწარმოები;

3.4. არასტანდარტული ვაშლის შემსყიდვე-



ლი საწარმოები;

3.5. მანდარინის შემსყიდველი ან/და გადაამუშავებელი საწარმოები.

4. თითოეული ქვეკომპონენტი ამოქმედდება საქართველოს მთავრობის შესაბამისი წლის განკარგულების გამოცემის შემთხვევაში.

5. იმისათვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებს და პროექტის მოთხოვნებს.

### შეღავათიანი აგროლიზინგი

1. აგროლიზინგის კომპონენტი ემსახურება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარებას. შეღავათიანი აგროლიზინგის დაფინანსებით ისარგებლებენ ის საწარმოები, რომლებიც ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები და სხვა), ან ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნებისმიერი სახით გადამამუშავებას (შენახვა, დაფასოება, გადამამუშავება), ან აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს, ასევე ის საწარმოები, რომელთაც თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დამტკიცებული აქვთ სახელმწიფო თანადაფინანსება.

2. აგროლიზინგის კომპონენტი დაფინანსდება „შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის“ კომპონენტის ბიუჯეტიდან (არ ვრცელდება თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გასაცემ აგროლიზინგზე).

3. სააგენტო უზრუნველყოფს სალიზინგო საზღაურის ნაწილის თანადაფინანსებას ლიზინგის მიმღებთან შეთანხმების საფუძველზე.

4. სააგენტო ლიზინგის გამცემთან გააფორმებს ხელშეკრულებებს და დაადგენს ლიზინგის გამცემისთვის შესაბამისობის კრიტერიუმებს, ვადებსა და პირობებს, რომლებიც ამ უკანასკნელმა უნდა დააკმაყოფილოს სააგენტოს თანამონაწილეობის სანაცვლოდ.

5. პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე სააგენტო განახორციელებს შეღავათიანი აგროლიზინგის მიმღების (ბენეფიციარის) მონიტორინგს და შესაბამის რეაგირებას მოახდენს დარღვევებზე.

6. შეღავათიანი აგროლიზინგით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

6.1. საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს;

6.2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

6.3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოსი);

7. იმისათვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროლიზინგით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ლიზინგის გამცემის მიერ ასეთი ტიპის ლიზინგის გაცემის წინაპირობებსა და წინამდებარე პროექტის მოთხოვნებს.

8. ამ კომპონენტით დაფინანსდებიან ის საწარმოები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებაზე და გამოიყენებენ ადგილობრივ შრომით რესურსებს. დაუშვებელია იმ პროექტების დაფინანსება, რომლებიც გათვლილია მხოლოდ იმპორტირებული ნედლეულის გადამამუშავებაზე და არაადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებაზე.

9. ამ კომპონენტით გათვალისწინებულია ახალი და არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის დაფინანსება, მათ შორის:

9.1. გადამამუშავებელი საწარმოები:

9.1.1. ხორცის, თევზისა და რძის გადამამუშავება;

9.1.2. ალკოჰოლური სასმელების წარმოება (გარდა ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისა);

9.1.3. ჩაის, დაფნის წარმოება და დაფასოება;

9.1.4. ხილის, ბოსტნეულისა და კენკროვნების გადამამუშავება;

9.1.5. ციტრუსის გადამამუშავება;

9.1.6. კაკლისა და თხილის, მიწის თხილისა და სხვა კაკლოვნების გადამამუშავება;

9.1.7. მატყლის, ტყავისა და ბეწვეულის წარმოება;

9.1.8. მცენარეული ცხიმებისა (ზეთის, მარგარინის, ერბოს) და ხაღვის წარმოება;

9.1.9. თამბაქოს წარმოება;

9.1.10. ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება;

9.1.11. სასაკლაოს მოწყობა;

9.1.12. მეფუტკრეობის პროდუქციის გადამამუშავება;

9.1.13. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველებისა და თევზების საკვების წარმოება;

9.1.14. მარცვლეულის გადამამუშავება (გარდა ხორბლის ფქვილის წარმოებისა), მხოლოდ თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაცემული აგროლიზინგის შემთხვევაში;

9.2. ინფრასტრუქტურული საწარმოები:



9.2.1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყოები;

9.2.2. მარცვლეულის საშრობები;

9.2.3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრე მეურნეობები;

9.2.4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთი მასალების წარმოება;

9.2.5. ალკოჰოლური სასმელებისთვის მუხის კასრების წარმოება;

9.2.6. ქვევრების დამზადება ღვინისათვის;

9.3. პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები;

9.3.1. მეცხოველეობის ფერმა;

9.3.2. მეფრინველეობის ფერმა;

9.3.3. ფრინველის საჩეკი მეურნეობა;

9.3.4. ძვირფასბეწვიანი ცხოველების ფერმა;

9.3.5. სათბურები და სხვა დახურული გრუნტის წარმოება;

9.3.6. თევზის წარმოება;

9.3.7. მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება;

9.3.8. საჩითილეები და სანერგეები;

9.3.9. მრავალწლიანი კულტურების ბაღები, ზერები, პლანტაციები და სხვ.

10. შეღავათიანი აგროლიზინგით შესაძლებელია დაფინანსდეს ლიზინგის გამცემის მიერ:

10.1. ახალი და/ან მეორეული მანქანა-დანადგარების იმპორტი;

10.2. საქართველოში უცხოური ან ადგილობრივი წარმოების ახალი მანქანა-დანადგარების შეძენა;

10.3. ლიზინგის გამცემის ბალანსზე არსებული მეორადი მანქანა-დანადგარების ლიზინგის მიმღებზე გადაცემა იმ პირობით, რომ ლიზინგის საგანი არ არის შეძენილი ლიზინგის მიმღებისგან ან მასთან დაკავშირებული პირისგან.

11. ამ კომპონენტის ფარგლებში დაუშვებელია დაფინანსდეს შემდეგი სახის ლიზინგი:

11.1. მიწის ლიზინგი;

11.2. არსებული სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობების ლიზინგი;

11.3. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორის, კომბაინისა და სხვა), ასევე მისაბმელების (გუთნის, ფარცხის, სათესის, სასუქის შემტანისა და სხვა) ლიზინგი;

11.4. სატრანსპორტო, მფრინავი და მცურავი საშუალებების ლიზინგი;

11.5. საოფისე ფართის ლიზინგი.

12. ერთ ბენეფიციარზე ლიზინგის გამცემის ინვესტიციის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 20 000 ლარით და არა უმეტეს 1 500 000 ლარით (მათ შორის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაცემული ლიზინგი),

ლიზინგის გაცემის მაქსიმალური ვადა შეზღუდული არ არის.

13. შეღავათიანი აგროლიზინგის ერთი პროექტის ფარგლებში, ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია გაიცეს რამდენიმე აგროლიზინგი. აღნიშნულ შემთხვევაში, ლიზინგის გამცემის ინვესტიციების ჯამური მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 20 000 ლარი და არა უმეტეს 1 500 000 ლარი.

14. პროექტის ფარგლებში, დასაშვებია ერთ ბენეფიციარზე ერთდროულად შეღავათიანი აგროკრედიტისა და შეღავათიანი აგროლიზინგის თანადაფინანსება იმ პირობით, რომ ამგვარი ლიზინგ(ებ)ისა და სესხ(ებ)ის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 1 500 000 ლარს.

15. ლიზინგის გამცემის მიერ სალიზინგო საზღაურში გათვალისწინებული მომსახურების წლიური სარგებელი არ უნდა აღემატებოდეს ლიზინგის გამცემის ინვესტიციის 21%-ს.

16. სააგენტოს მიზნობრივი თანადაფინანსება განისაზღვრება ლიზინგის გამცემის ინვესტიციის წლიური 12%-ის ოდენობით 66 თვის განმავლობაში, რომელსაც სააგენტო გადაუხდის ლიზინგის მიმღებს მის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის შესაბამისად, სალიზინგო საზღაურის გადახდის შემდეგ.

აგროსექტორის საბრუნავი საშუალებების დაფინანსება მოიცავს ისეთ მიმართულებებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მიწასთან და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. განვასხვავოთ აგროსექტორში უძრავი და მოძრავი საწარმოო საშუალებები. ამის განსაზღვრა უნდა მოხდეს არა მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში, არამედ უნდა გაანალიზდეს მისი არსი და მნიშვნელობა ზოგადად საქართველოსთვის, როგორც საქართველოს ეკონომიკის ძირითად მასაზრდოებელი საშუალების.

მიწა არის უნიკალური მაგრამ შეზღუდული რესურსი, განსხვავებით მრეწველობის ისეთი დარგებისგან როგორიც არის გადამამუშავებელი წარმოებები რომლებიც ძირითადად დაფუძნებულია სხვადასხვა დანადგარებისა და შრომითი რესურსების არსებობასთან და შესაძლებელია მისი ზრდა და შემცირება ბაზრის პირობებიდან გამომდინარე, რაც შეეხება აგრო სექტორს ის დაკავშირებულია შეზღუდულ რესურსთან. ზოგადად შეზღუდულობა ეკონომიკური ფაქტორია და ახასიათებს ყველა რესურსს, მაგრამ სხვა დანარჩენი პირობების უცვლელობის შემთხვევაში მიწა ამოწურვადი რესურსია ჩვენსაირი მცირე-მიწიანი ქვეყნისთვის და ამიტომ ზუსტი გათვლა სჭირდება მასზე გაცემული შეღავათიანი



კრედიტების თუ ლიზინგის მიმართულებების განსაზღვრას.

საქართველოში ზოგადად არსებობს გამოცემების პრობლემა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ყოველდღიურად შრომობს უმეტესწილად მხოლოდ გამოცემებისთვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ყურძნის, მანდარინის და ატმის მოყვანა და უხვი მოსავლის მიღება ძლიერ სასარგებლოა ქვეყნისთვის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს სხვა გარემოებები. არსებულ შეზღუდულ რესურსის ფინანსირება ხდება მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ გაშენდეს ვენახები ატმის ნარგავები, მანდარინის პლანტაციები და ა.შ. ანუ მიწის ფართობის დაკავება მრავალწლოვანი მცენარეებით, მათგან მიღებული პროდუქტი კი არის ეკონომიკურად არამომგებიანი, ხშირად მოითხოვს სუბსიდირებას სახელმწიფოს მხრიდან. მიღებული ზღვრული სარგებელი უფროდაუფრო იკლებს. მრავალწლიანი შრომა და ჯამურად მსხვილი კაპიტალდაბანდება განყენებული ხდება ეკონომიკური კანონებისაგან და დაფუძნებულია სახელმწიფოს ხელოვნურად შექმნილ ეკონომიკურ პირობებზე. ეს ყოველივე ხელს უშლის ჯანსაღ კონკურენციას დარგის შიგნით და წარმოშობს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საარსებო საშუალებების მოსპობის ხარჯზე ამ კონკრეტული მიმართულებების განვითარებას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ისეთი სახის სასურსათო პროდუქციის იმპორტი ხდება, რომლის წარმოების გაზრდის დიდი საშუალება ჩვენვე გაგვაჩნია, განვითარების შემთხვევაში ექსპორტზეც შეიძლება ვიფიქროთ. ამისთვის აუცილებელია პოლიტიკური ნება ჩვენი მთავრობის. ამისთვის საჭიროა აღნიშნული სახის პროდუქციის იმპორტზე საბაჟო გადასახადები ეტაპობრივად გაიზარდოს, ხოლო ექსპორტზე კი შემცირდეს, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკუთარი კვების პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის გაზრდას. სამწუხაროდ ამჟამად ადგილობრივი წარმოების პროდუქცია ძნელად სადდება და უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციაში მარცხდება, აუცილებელია ისეთ პროდუქციაზე როგორცაა: ხორბალი, რძე ფქვილი ხორცი, ზეთი გაიზარდოს საბაჟო გადასახადი რომ არამომგებიანი იყოს მეწარმესთვის მისი იმპორტირება და იზრუნონ ადგილობრივი წარმოების განვითარებისთვის.

ამასთან სასურველი იქნებოდა აგროსექტორის განვითარების სტრატეგიაში ტარიფების, იმპორტული ქვოტების და საექსპორტო სუბსიდიების გამოყენებისასთან ერთად უფრო მეტი დახმარება გაეცათ მცირე ფერმერებისთვის საწვავის, ტექნიკის, სასუქების, სათესლე და სანერგე საშუალებების კუთხით.

#### ლიტერატურა

- 1) სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „ერთიანი აგროპროექტი“. 2017.
- 2) ტურაბელიძე ნ. საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები თბ., 2009.
- 3) პ. კრუგმანი, მ. ოფსვილდი „საერთაშორისო ეკონომიკა თეორია და პოლიტიკა“ გამომცემლობა „ცისარტყელა“, 2000
- 4) მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები თბ. „ლიოგენე“. 2008.
- 5) ე. ბარათაშვილი, გ. ჯოლია; ნ. გრძელიშვილი; ი. მამალაძე; დ. სეხნიაშვილი; დ. ჩახვაშვილი. „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება“. თბ., 2011.



## THE WAYS OF IMPROVEMENT OF AGRIBUSINESS DEVELOPMENT PLAN IN GEORGIA

**DAVID GOGIASHVILI**  
*PhD of GTU*  
*E-mail: poligrafalfa@mail.ru*

### Summary

Governments have employed various measures to maintain farm prices and incomes above what the market would otherwise have yielded. They have included financial plan, tariffs or import levies, import quotas, export subsidies, direct payments to farmers, and limitations on production. Tariffs and import quotas can be effective only if a country normally imports some of its supply. Export subsidies result in higher prices to domestic consumers than to foreign purchasers; their use requires control over imports to prevent foreign supplies from entering the domestic market and bringing prices down. Direct payments to farmers have been used to maintain prices to consumers at reasonable levels, while assuring farmers a return above world-market levels.

The costs of the agricultural price and income policies of our country are substantial; It include not only direct governmental outlays but also the increased costs to consumers in our country. A country seeking to develop its economy may be well advised to give a significant priority to agriculture. Experience in the developing countries has shown that agriculture can be made much more productive with the proper investment in irrigation systems, research, fertilizers, insecticides, and herbicides.

Thus, the implementation of various financial plans supporting farming farms will enable the Agro-sector to fully utilize land plots according to their aims, also using the techniques that do not harm both natural and agricultural facilities; Increase soil fertility, implement use and protection measures of lands, observe the rules of use of nature objects, do not allow harmful event for any environmental damage and increase the overall downturn in the country.